ოქმი:**ო37.37210472**

თარიღი:**16/02/2021**

ოქმი N2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მორიგი საკრებულოს სხდომის

2021 წელი, 16 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

11.00 საათი -12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-- საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- გ. ღურჯუმელიძე, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ. ბიგვავა, ვ. ბერიძე, გ. კილაძე, გ. ჩაგანავა; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: დ. ჭაკნელიძე, ბ. დოლიძე, ბ. ქათამაძე, ლ. მგელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ქ. ვასაძე, ვ. ჩიგოგიძე, ნ. ორაგველიძე, დ. მამალაძე, შ. თავდიშვილი, თორნიკე გოგუაძე, დ. მდინარაძე, ლ. ნინიძე, პ. კიღურაძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ზოიძე, რ. სკამკოჩაიშვილი, ვ. ნიჟარაძე, ვ. ჩხაუძე, ბ. თოიძე, ალ. ღლონტი, ვლ. ჩავლეშვილი, თ. ტუღუში, ლ. სიჭინავა, დ. მჟავანაძე.
მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.
სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 32 -მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 32-ხმით.

დღის წესრიგი

2.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის და გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის წესისა და წარსადგენი ანგარიშის ფორმების საკითხის სრულყოფის მიზანშეწონილობის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ვალოდია ბერიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 4-მარტამდე.

3.2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების შესრულების წლიური ანგარიშის სტანდარტული ფორმებისა და მათი წარდგენის ვადის დამტკიცების მიზანშეწონილობის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ვალოდია ბერიძე

ამ საკითხის განხილვისას დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის ლ. ბიგვავას წინადადებით დადგენილების პროექტის მე-3-ე მუხლის ბოლო წინადადებას დაემატა “ და გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე“.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 4-მარტამდე.

4.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 4-მარტამდე.

5.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების

თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 4-მარტამდე.

6.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულბის მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

ლაშა თავაძე

გიორგი ჩაგანავა

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა შ. თავდიშვილმა დასვა შეკითვა-რატომ მოხდა მიწის ნაკვეთების ფასების ზრდა?- მიეცა შესაბამისი განმარტება.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით, 4-წინაღმდეგი.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 25-თებერვლამდე.

7.6. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 4-მარტამდე.

8.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის

N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 4-მარტამდე.

9.8. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ვადა გაგრძელდება ერთი თვით.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 4-მარტამდე.

10.9. არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის გათვალისწინებით ,,ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის მომზადების პროცესში“ - მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ვადა გაგრძელდება ერთი თვით.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 4-მარტამდე.

10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ 2020 წლის

გაწეული მუშაობის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის მიწოდებისა და ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე

ეს ინფორმაცია საკრებულოს სხდომამ მიიღო ცნობად.

აქვე აპარატის უფროსმა, როგორც „ღია მმართველობა - პარტნიორობის“ ადგილობრივი პროგრამის (OGP-LOCAL) ოფიციალურმა საკონტაქტო პირმა საკრებულოს მიაწოდა ინფორმაცია ღია მმართველობა პარტნიორობის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მიმოხილვის შესახებ. ასევე კორუფციული რისკების შეფასების სისტემის დანერგვაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩართვის თაობაზე.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი